

პიროვნების რელიგიურობის როლი წინარწმენების ჩამოყალიბებაში

შოთა სამხარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

*უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური
ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შოთა სამხარაძე

19. 06. 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში განხილულია პიროვნების რელიგიურობის გავლენა მის სოციალურ დისტანციაზე. კვლევაში პიროვნების რელიგიურობის შესასწავლად გამოყენებულია გლოკისა და სტარკის რელიგიური განზომილებები, ესენია: პრაქტიკა, რწმენა, გამოცდილება და შედეგები. თითოეული მათგანი ეხება რელიგიურობის განსხვავებულ ასპექტებს, მაგ. პრაქტიკა მოიცავს, ეკლესიისა თუ რომელიმე რელიგიური ჯგუფის ამჟამინდელ წევრობას და ასევე რელიგიურ ცერემონიალებზე დასწრებას. ხოლო, წინარწმენების გასაზომად, გამოყენებულია ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალა, რომელიც შედგება სოციალური დისტანციის განსხვავებული შეფასებებისაგან და მონაწილემ უნდა აირჩიოს, თუ რომელი მათგანია სასურველი მისთვის, კონკრეტული ჯგუფის მიმართ. საქართველოში ამ ორი ცვლადის კვლევის მნიშვნელოვნებას მრავალი გარემოება ადასტურებს, აღსანიშნავია, რომ საქართველოში, გამომდინარე მისი უახლოესი კომუნისტური წარსულიდან, ძალიან მცირე რაოდენობის კვლევებია ჩატარებული პიროვნებების რელიგიურობის შესახებ. ხაზგასასმელია ისიც, რომ დღესდღეობით რელიგიურობა გარკვეულ პრესტიჟულობასაც კი გულისხმობს მართლმადიდებელი მრევლისათვის, ხოლო დომინანტი ეკლესია აქტიურად ეწევა საკუთარი ნაციონალური იდენტობის გავრცელებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში არატოლერანტულია განსხვავებული ჯგუფებისადმი. კვლევის შედეგები ეხმიანება ვარაუდს, რომ რელიგიური პიროვნებები ავლენენ შედარებით მეტ სოციალურ დისტანციას ყველა განსხვავებული ჯგუფის მიმართ, არარელიგიური მონაწილეებისაგან განსხვავებით.

ძირითდი საძიებო სიტყვები: სოციალური დისტანცია, რელიგიურობა, წინარწმენები

Abstract

This study examines the impact of a person's religiousness on his or hers social distance. The individual religiosity was studied with Glock and Stark Religious Dimensions, such as the practice, faith, experience and results. Each of them deals with different aspects of religiosity, for example: The practice involves, participant's church and religious ceremonies attendance. for measuring prejudice, study used Bogardus Social Distance scale, which consists of different assessments and participants have to choose which of them they prefer, toward a particular social group. The importance of reasearch of this two variables are confirmed by the current societal environment in Georgia, stemming from his closest communist past, a very small amount of research has been done about religious personalities. It is also noteworthy that even today in Georgia, Eastern orthodoxy incorporates some kind of prestigiousness for the religious people and the dominant church is actively engaged in the distribution of their national identity, which is not tolerat against different groups. The results echo the assumption that religious people show greater social distance toward all the different groups, in contrast to non-religious.

Key words: Religiosity, Social distance, Prejudice

მადლობა

მე მსურს გამოვხატო გულითადი მადლობა ჩემი ხელმძღვანელის, ნინო ჯავახიშვილისადმი. ასევე დიდი მადლობა დოქტორანტ სტუდენტ ირინა ვარდანაშვილს რეკომენდაციებისა და დახმარებისათვის.

მადლობა ჩემს ოჯახსა და ახლობელ ადამიანებს, რომელნიც უანგაროდ მიდგანან გვერდში. მათ შორის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი თინათინ კიკალიშვილს, წინამდებარე კვლევაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.